საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით კარდიოლოგიურ პაციენტთა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა ქ.რუსთავის მაგალითზე

ქრისტინე მაშანეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტირების მაგისტრის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

ხელმძღვანელი: პროფ. თენგიზ ვერულავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქრისტინე მაშანეიშვილი

2015 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: 2013 წლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის შემოღების შემდგომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების და მათ შორის გადაუდებელი კარდიოლოგიური მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა. კვლევის მიზანს წარმოადგენს კარდიოლოგიურ პაციენტთა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის შესწავლა ქალაქ რუსთავის მაგალითზე. **მეთოდოლოგია:** კვლევისთვის შეირჩა რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილება, გამოყენებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით და პირისპირ ინტერვიუიების მეთოდი სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით კარდიოლოგიურ პაციენტებთან. **შედეგები, დისკუსია:** საყოვეთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა, მიუხედავად ბაზისური პაკეტით უზრუნველყოფისა, სახელმწიფო პროგრამით სრულად არ ფინანსდება კარგიოლოგიური სერვისების გარკვეული სახეები, რაც უარყოფითად აისახება კარდიოლოგიურ ავადმყოფთა ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. **დასკვნა:** მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში მოხდეს კარდიოლოგიური სამედიცინო მომსახურების სრული დაფინანსება, რომ თავიდან იქნას აცილებული პაციენტის კატასტროფული დანახარჯები.